

შპს „მტკვარი ჰოლდინგი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება


31 დეკემბერი, 2018

## სარჩევი

|                                                                       |      |
|-----------------------------------------------------------------------|------|
| კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                    | 3    |
| კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება | 4    |
| კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება            | 5    |
| კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება                | 6    |
| კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები        | 7-40 |

| '000 ლარი                                   | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 | 31 დეკემბერი<br>2016 |
|---------------------------------------------|----------|----------------------|----------------------|----------------------|
| <b>აქტივები</b>                             |          |                      |                      |                      |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                |          |                      |                      |                      |
| ძირითადი საშუალებები                        | 8        | 114,020              | 65,243               | 96,614               |
| არამატერიალური აქტივები                     |          | 3                    | 10                   | 8                    |
| გრძელვადიან აქტივებში გადახდილი<br>ავანსები | 8        | 19,678               | 21,799               | 19,975               |
| გუდვილი                                     |          | -                    | -                    | 19,320               |
| ვადიანი დეპოზიტი                            | 9        | 2,784                | 2,696                | 2,753                |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>            |          | <b>136,485</b>       | <b>89,748</b>        | <b>138,670</b>       |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                   |          |                      |                      |                      |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი                |          | 310                  | 323                  | 65                   |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები             | 10       | 5,813                | 13,158               | 7,902                |
| სხვა მოთხოვნები                             | 11       | 4,837                | 4,007                | 189                  |
| ფულადი სახსრები და მათი<br>ეკვივალენტები    | 12       | 3,440                | 20,047               | 7,645                |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>               |          | <b>14,400</b>        | <b>37,535</b>        | <b>15,801</b>        |
| <b>სულ აქტივები</b>                         |          | <b>150,885</b>       | <b>127,283</b>       | <b>154,471</b>       |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>            |          |                      |                      |                      |
| <b>კაპიტალი</b>                             |          |                      |                      |                      |
| საწესდებო კაპიტალი                          | 13       | 177,346              | 171,917              | 152,051              |
| დაგროვილი ზარალი                            |          | (134,226)            | (109,054)            | (5,758)              |
| <b>სულ კაპიტალი</b>                         |          | <b>43,120</b>        | <b>62,863</b>        | <b>146,293</b>       |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>           |          |                      |                      |                      |
| ნასესხები სახსრები                          | 14       | 81,017               | 57,732               | -                    |
| კრედიტორული დავალიანებები                   | 15       | 2,786                | 1,672                | 2,664                |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>       |          | <b>83,803</b>        | <b>59,404</b>        | <b>2,664</b>         |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>              |          |                      |                      |                      |
| ნასესხები სახსრები                          | 14       | 11,860               | -                    | -                    |
| კრედიტორული დავალიანება                     | 15       | 12,102               | 5,016                | 5,514                |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>          |          | <b>23,962</b>        | <b>5,016</b>         | <b>5,514</b>         |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                    |          | <b>107,765</b>       | <b>64,420</b>        | <b>8,178</b>         |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>        |          | <b>150,885</b>       | <b>127,283</b>       | <b>154,471</b>       |

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ 2019 წლის 26  
სექტემბერს:

  
ლეონტინა გალდავა  
დირექტორი

| '000 ლარი                                        | Note | 2018            | 2017             |
|--------------------------------------------------|------|-----------------|------------------|
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი        |      | (763)           | (853)            |
| ცვეთა და ამორტიზაცია                             |      | (118)           | (62)             |
| ქონების გადასახადი                               |      | (180)           | (1,191)          |
| ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ზარალი        | 8    | (16,758)        | (99,502)         |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                          |      | (1,393)         | (1,356)          |
| <b>საოპერაციო ზარალი</b>                         |      | <b>(19,212)</b> | <b>(102,964)</b> |
| ფინანსური საქმიანობით მიღებული შემოსავლები       |      | 151             | 130              |
| ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები        | 14   | (827)           | (1,625)          |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ზარალი           | 8    | (5,014)         | (426)            |
| საკურსო სხვაობიდან წმინდა ზარალი                 |      | (270)           | (223)            |
| <b>ზარალი საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე</b> |      | <b>(25,172)</b> | <b>(105,108)</b> |
| საშემოსავლო გადასახადის დანარიცხები              |      | -               | (195)            |
| <b>წლის ზარალი</b>                               |      | <b>(25,172)</b> | <b>(105,303)</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                            |      | -               | -                |
| <b>წლის მთლიანი სრული ზარალი, წმინდა</b>         |      | <b>(25,172)</b> | <b>(105,303)</b> |

| '000 ლარი                                                           | საწესდებო კაპიტალი | დაგროვილი ზარალი | სულ კაპიტალი  |
|---------------------------------------------------------------------|--------------------|------------------|---------------|
| ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით                              | 152,051            | (5,758)          | 146,293       |
| წლის მთლიანი სრული ზარალი წლის ზარალი                               | -                  | (105,303)        | (105,303)     |
| <b>პარტნიორების ოპერაციები, რომელიც აისახება პირდაპირ კაპიტალზე</b> |                    |                  |               |
| საწესდებო კაპიტალის გაზრდა (შენიშვნა 13)                            | -                  | 2,007            | 2,007         |
| ბიზნეს კომბინაცია (შენიშვნა 13)                                     | 19,866             | -                | 19,866        |
| <b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                    | <b>171,917</b>     | <b>(109,054)</b> | <b>62,863</b> |
| <b>წლის მთლიანი სრული ზარალი</b>                                    |                    |                  |               |
| წლის ზარალი                                                         | -                  | (25,172)         | (25,172)      |
| <b>პარტნიორების ოპერაციები, რომელიც აისახება პირდაპირ კაპიტალზე</b> |                    |                  |               |
| საწესდებო კაპიტალის გაზრდა (შენიშვნა 13)                            | 5,428              | -                | 5,428         |
| <b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                    | <b>177,346</b>     | <b>(134,226)</b> | <b>43,120</b> |

| '000 ლარი                                                                                 | შენიშვნა | 2018            | 2017            |
|-------------------------------------------------------------------------------------------|----------|-----------------|-----------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                           |          |                 |                 |
| ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე                                                     |          | (25,172)        | (105,303)       |
| <i>კორექტირებები:</i>                                                                     |          |                 |                 |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                      |          | 118             | 62              |
| ძირითადი საშუალებების ამორტიზაციით გამოწვეული წმინდა ზარალი                               |          | 16,758          | 99,502          |
| ძირითადი საშუალებების გასხვისებით გამოწვეული წმინდა ზარალი                                | 8        | 270             | 223             |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი                                                     |          | -               | 816             |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგის ჩამოწერის ხარჯის                                            |          | 149             | 123             |
| ფინანსური საქმიანობით მიღებული შემოსავლები                                                |          | (149)           | (129)           |
| ფინანსური საქმიანობით გამოწვეული დანახარჯები                                              |          | 827             | 896             |
| უცხოური ვალუტის გაცვლის წმინდა მოგება/ზარალი                                              |          | 5,003           | 426             |
| <b>საოპერაციო ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე</b>                           |          | <b>(2,196)</b>  | <b>(3,384)</b>  |
| <i>საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილების განხორციელების შედეგად:</i>    |          |                 |                 |
| ცვლილება სხვა მოთხოვნებში                                                                 |          | (361)           | -               |
| ცვლილება სასაქონლო-მატერიალური მარაგებში                                                  |          | (135)           | (93)            |
| ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში                                                  |          | 7,345           | (5,449)         |
| ცვლილება კრედიტორულ ვალდებულებებში                                                        |          | 49              | 21              |
| მიღებული პროცენტი                                                                         |          | 45              | 26              |
| გადახდილი პროცენტი                                                                        | 14       | (786)           | (664)           |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b> |          | <b>3,961</b>    | <b>(9,543)</b>  |
| <b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                         |          |                 |                 |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა                                                            |          | (48,802)        | (55,320)        |
| არამატერიალური აქტივების შესყიდვა                                                         |          | (365)           | (29)            |
| ბიზნეს კომბინაციიდან მიღებული გაუნაწილებელი მოგება                                        |          | -               | 2,007           |
| შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან                                               |          | 316             | 161             |
| შემოსავალი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან                                            |          | 330             | 23              |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>                      |          | <b>(48,521)</b> | <b>(53,158)</b> |
| <b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>                                            |          |                 |                 |
| აღებული სესხები                                                                           | 14       | 23,181          | 55,473          |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა                                                                  | 13       | 5,429           | 19,866          |
| <b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>                            |          | <b>28,610</b>   | <b>75,339</b>   |
| <b>ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება</b>                           |          |                 |                 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში                                     |          | 20,047          | 7,645           |
| სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                   |          | (657)           | (236)           |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>                                   | 12       | <b>3,440</b>    | <b>20,047</b>   |

## 1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

### საოპერაციო გარემო

საქართველო მუდმივად ავლენს ბაზრის განვითარების გარკვეულ ნიშან-თვისებებს. გრძელდება იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოების განვითარება და ხშირი ცვლილებებით და განსხვავებული ინტერპრეტაციებით ხასიათდება. სამუშაო გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შპს „მტკვარი ჰოლდინგისა“ და შვილობილის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება.

### ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „მტკვარი ჰოლდინგი“ („კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც ეს განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რეგისტრირებულია და დაფუძნებულია საქართველოში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით - 404539576.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ., N3739, სართული 6, საოფისე ფართი 500.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია მთლიანად ეკუთვნოდა კომანდიტურ საზოგადოება „საქართველოს თანაინვესტირების ფონდს“ („ფონდი“). დაკავშირებული მხარის გარიგებები მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

შპს „მტკვარი ჰოლდინგი“ არის შპს „მტკვარი ჰესის“ („შვილობილი“) მშობელი კომპანია (ერთად „ჯგუფი“), რომლის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში, ახალციხეში ჰიდროელექტროსადგურის („ჰესის“) მშენებლობა, განვითარება და ექსპლუატაცია.

ურთიერთთანამშრომლობის შეცვლილი და შესწორებული მემორანდუმის თანახმად (მემორანდუმი), რომელიც 2015 წლის 16 ივლისს (რომელშიც შეიცვალა 15.02.2019 წელს) გაფორმდა შვილობილ კომპანიას, საქართველოს მთავრობასა და სს

„ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს“ შორის, შვილობილმა მთავრობის წინაშე აიღო ვალდებულება საქართველოში, ახალციხეში, მდინარე მტკვარზე ააგოს ჰიდროელექტროსადგური, მინიმუმ 43 მგვტ და მაქსიმუმ 58 მგვტ სიმძლავრით, 2020 წლის ბოლოსთვის. ჰესს ზედა ზღვარი უნდა ჰქონდეს ზღვის დონიდან 1,015 მეტრზე, ხოლო ქვედა ზღვარი ზღვის დონიდან 909-ზე და ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება უნდა იყოს 227 - 234 გვტ-სთ.

ზემოხსენებული მემორანდუმის საფუძველზე გაუქმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს მთავრობასა და შვილობილს შორის, რომლის თანახმად, მას საქართველოს მთავრობის წინაშე ჰქონდა ვალდებულება 2015 წლის 1 სექტემბრისთვის ახალციხეში მდინარე მტკვარზე აეშენებინა ჰიდროელექტროსადგური, დადგენილი სიმძლავრით მინიმუმ 40 მგვტ და მაქსიმუმ 49 მგვტ.

შვილობილმა ხელი მოაწერა ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან“ („ესკო“) ზემოაღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, 2016 წლის 11 იანვარს. ხელშეკრულება ძალაშია 15 წლის განმავლობაში, სამშენებლო სამუშაოების დასრულების დღიდან და ამ ხელშეკრულების თანახმად, ესკო იღებს ვალდებულებას ელექტროენერგია შეიძინოს წინასწარ განსაზღვრული კომერციული/საბაზრო პირობებით.

## 2. კონსოლიდაციის საფუძველი

### შესაბამისობა აღრიცხვის პრინციპებთან

ჯგუფის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“), ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“) თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი კონტროლის ქვეშ მყოფი შვილობილის ფინანსურ მონაცემებს. შვილობილი კონტროლდება მშობელი კომპანიის მიერ, თუ მშობელ კომპანიას:



- აქვს ძალაუფლება ზეგავლენა მოახდინოს შვილობილ კომპანიაში მიმდინარე მოვლენებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე;
- აქვს შესაძლებლობა თავისი ჩართულობით მოახდინოს გავლენა შვილობილის შემოსავლებზე;
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი ძალა, რათა ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის.

კომპანია ყოველწლიურად აფასებს აქვს თუ არა კონტროლი შვილობილზე, თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი კონტროლის სამი ელემენტის ერთ ან მეტ ნაწილში ცვლილებები.

### 3. ოფიციალური და საანგარიშგებო ვალუტა

ჯგუფის ოფიციალური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც იგი საქმიანობს. ჯგუფის ოფიციალური ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("ლარი"). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამასთანავე ჯგუფის საანგარიშგებო ვალუტაა.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადადის ლარში, კონვერტირების დღეს არსებული კურსით. უცხოური ვალუტის ტრანზაქციები აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ამგვარი ტრანზაქციების განხორციელებიდან და ფულადი აქტივების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტირებიდან მიღებული მოგება და ზარალი ფიქსირდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც წმინდა უცხოური ვალუტის მოგება / ზარალი.

2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში ბალანსის გადაყვანისთვის გამოყენებულია გაცვლითი კურსები, სადაც 1 აშშ დოლარის ღირებულება არის 2.6766 (2017: 1 აშშ დოლარი - 2.5922). ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ათასობითი პრინციპით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა რამ არის მითითებული.

### 4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი დებულებები

ქვემოთ მოყვანილი საანგარიშო პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდზე.

#### ხარჯების აღიარება

ხარჯები ფიქსირდება დარიცხვის საფუძველზე, იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურების გაწევა ხდება.

#### ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს: საპროცენტო

ხარჯებს/ შემოსავალს სესხებიდან. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი დაფიქსირებულია როგორც მოგებაში ან ზარალზე დარიცხული, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი აღინიშნება წმინდა დათვლების საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით, არის თუ არა უცხოური ვალუტის ცვლილებები სუფთა მოგებაში ან სუფთა ზარალში.

### **ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში**

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის მოგების ან ზარალის აღიარება სხვა სრულ შემოსავალში, ამ მოგების ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში. ხოლო როდესაც ხდება არაფულადი მუხლის მოგების ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ მოგების ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

### **თანამშრომელთა საპრემიო განაცემი**

დასაქმებულებისთვის მოკლევადიანი საპრემიო განაცემის ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და გაიცემა შესაბამისი მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება ფიქსირდება გადასახდელი მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის შესაბამისად, თუკი ჯგუფს გააჩნია მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, და ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საიმედოდ (სანდოდ).

### **მოგების გადასახადები**

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადები წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსათვის ან ზოგადად მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 და 2016 წლებში ჯგუფის მოგება იბეგრებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გადახდილი დივიდენდები თავისუფლდება გადასახადისაგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი შემოსავლის დივიდენდები იბეგრება მთლიანი თანხის მოგების გადასახადით, რაც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გამოითვლება, როგორც მოგების გადასახადის წილი, რომელიც დეკლარირებული და გადახდილია დასაბეგრ მოგებაზე, იმავე პერიოდში წმინდა მოგებასთან შედარებით, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. ამასთან, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი ხარჯად აღირიცხება დივიდენდების დეკლარაციის პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან დივიდენდების გადახდის პერიოდისა. შედეგად, ჯგუფმა ამოიღო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება და აღრიცხა 2016 წლის მოგებაში და ზარალში. დახურული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდის შედეგად, არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადახდას ექვემდებარება იმ ხარჯებზე ან გადასახდელებზე, რაც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების უფასოდ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რაც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით

დადგენილ მაქსიმალურ ნორმატიულ ოდენობას. დაუყოვნებლივ იბეგრება შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციის ფარგლებში რეგისტრირებულ პირებზე გადახდილი ყველა ავანსი და სხვა გარკვეული ტიპის ტრანზაქციები, აგრეთვე ფიზიკური პირების ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხები. ამგვარი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გარდა შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციის ფარგლებში რეგისტრირებულ პირებზე გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო შეღავათებისა ან ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ანაზღაურება, ფიქსირდება გადასახადების მიხედვით, და არა როგორც შემოსავალი საოპერაციო ხარჯებში.

### ძირითადი საშუალებები და გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები

#### (i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების გამოკლებით. მიწის შეფასება ფასდება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების გამოკლებით.

ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის შეძენას. თვითწარმოქმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს მასალებისა და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ასევე, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რაც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის, დემონტაჟს, მის გადაადგილებასა და ლოკაციის აღდგენას და უშუალოდ დაკავშირებული სესხების საპროცენტო ხარჯებს.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორები. ასეთი ინდიკატორის გამოვლენის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება აქტივის სამართლიან ღირებულებასა მინუს გასხვისების ხარჯებსა და მის მიმდინარე ღირებულებას შორის უმაღლესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად თანხამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში. წინა წლებში აქტივისათვის აღიარებული გაუფასურების ზარალი ანაზღაურდება საჭიროების შემთხვევაში, თუ მოხდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გასხვისების ხარჯების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილება. ძირითადი საშუალებების გასხვისებით წარმოქმნილი ნებისმიერი მოგება თუ ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასა და გასხვისების შედეგად მიღებულ ანაზღაურებას შორის სხვაობით და ნეტო სხვა წმინდა შემოსავალი/ხარჯი.

**(ii) შემდგომი ხარჯები**

ძირითადი საშუალებების კომპონენტის შეცვლის ღირებულება აღიარდება მის საბალანსო ღირებულებაში, თუ არსებობს ალბათობა, რომ ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს ამ კომპონენტის შეცვლით და შესაძლებელია მისი ღირებულების სარწმუნოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური სერვისის ხარჯები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, ამგვარი ხარჯების დადგომის დროს.

**(iii) ცვეთა**

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ცვეთა ერიცხება აქტივის პირველად ღირებულებას მინუს ნარჩენ ღირებულებას. აქტივების მნიშვნელოვანი კომპონენტებისათვის ხდება ნარჩენი სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება; თუ იგი განსხვავდება ძირითადი აქტივის ნარჩენი სასარგებლო გამოყენების ვადისგან, აღნიშნული კომპონენტი იცვითება განცალკევებულად.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, რადგან ეს ყველაზე კარგად გამოხატავს აღნიშნულ აქტივში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურას. მიწა არ არის ცვეთადი აქტივი.

ამჟამად ექსპლუატაციაში არსებული მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა არის 5 წელი.

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები მოიცავს მიმდინარე სამშენებლო აქტივების წინასწარ გადახდებს, რომლებიც შემდგომ კლასიფიცირდება, როგორც ძირითადი საშუალება. ამგვარი წინასწარი გადახდები ჩაითვლება პირველადი ღირებულებით, გაუფასურების გამოკლებით და კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, ვინაიდან ის გულისხმობს აქტივს, რაც კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, პირველადი აღიარებით.

**დამატებული ღირებულების გადასახადი**

დამატებული ღირებულების გადასახადის („დღგ“) ვალდებულება წამოიშობა საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშჟაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ

ანგარიშფაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული დღგ 5-დან 10 წლამდე გადავადდება იმ კომპანიებისთვის, რომელთა დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა სრული ბრუნვის 20%-ს აღემატება.

### **დაუზუსტებელი საგადასახადო პოზიციები**

ჯგუფის დაუზუსტებელი საგადასახადო პოზიციები ხელმძღვანელობის მიერ ხელახლა გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებზე, რომლებიც ხელმძღვანელობის აზრით, გამოიწვევს დამატებით გადასახადების დაწესებას, თუკი პოზიციები სადაო გახდება საგადასახადო ორგანოებთან. შეფასება ემყარება საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს, და აღნიშნულ საკითხზე ნებისმიერ არსებულ სასამართლო ან სხვა განკარგულებას. ჯარიმებთან, პროცენტებთან და გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები შეფასებულია და აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების საფუძველზე.

### **ვალდებულებების რეზერვი და რეზერვის დარიცხვა**

ვალდებულებების რეზერვი და სარეზერვო დანარიცხები წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის მქონე არაფინანსურ ვალდებულებებს. ისინი წამოიშობა მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა. მსგავსი ვალდებულებების არსებობისას, ალბათობა იმისა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება რესურსების გადინება, განისაზღვრება ვალდებულებების კლასის, როგორც ერთი მთლიანის გათვალისწინებით. რეზერვის აღიარება ხდება იმ შემთხვევაშიც თუ რესურსის გადინების ალბათობა ერთი და იმავე კატეგორიის ვალდებულებებში შემავალ ერთ საშუალებაზე, მცირეა.

### **(b) ფინანსური ინსტრუმენტები**

ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ჰყოფს სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიებად.

ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს აღრიცხავს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

**(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა**

სესხები და დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღირიცხება წარმოქმნის თარიღით. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულების პირველადი აღიარება ხდება უშუალოდ ტრანზაქციის დღეს, როდესაც ჯგუფი ხდება ხელშეკრულების მხარე.

ჯგუფი წყვეტს ფინანსურ აქტივის აღიარებას, როდესაც აქტივისგან ფულადი სახსრების შემოძინებაზე სახელშეკრულებო უფლებები ამოიწურება, ან იგი გადასცემს აქტივზე ფულადი სახსრების მიღების უფლებას იმ ტრანზაქციის განხორციელების შედეგად, სადაც არსებითად გადადის ფინანსური აქტივის საკუთრების ყველა რისკი და სარგებელი. მონაწილეობის ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც ჯგუფის მიერ არის შექმნილი ან შენახული, აღიარებულია, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

**სხვა დებიტორული დავალიანებები**

სხვა დებიტორული დავალიანებების პირველადი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე დაცულ თანხებს სამ თვეზე ნაკლები ვადით.

**(ii) ფინანსური ვალდებულებების დახარისხება**

**ნასესხები სახსრები**

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას მინუს სესხის აღებასთან დაკავშირებული ხარჯები და შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

**ნასესხები სახსრების ხარჯების კაპიტალიზაცია**

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივების შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომლებიც [არ აღირიცხება რეალური

ღირებულებით და რომლებიც] აუცილებლად საჭიროებს ექსპლუატაციისთვის ან გაყიდვისთვის (საკვალიფიკაციო აქტივები) საჭირო დროს, კაპიტალიზირდება, როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი, თუ კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი არის 2009 წლის 1 იანვარი ან შემდგომი პერიოდი.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი არის, როდესაც ჯგუფი (ა) გაწევს დანახარჯებს საკვალიფიკაციო აქტივისთვის; (ბ) გააჩნია სესხისთან დაკავშირებული ხარჯები; და (გ) აწარმოებს ისეთ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის მოსამზადებლად მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისა ან გაყიდვისათვის.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება მანამ, სანამ აქტივები არსებითად მზად არიან მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისა ან გაყიდვისათვის.

ჯგუფი ახორციელებს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ისეთი ხარჯების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა, თუ იგი კაპიტალურ ხარჯებს არ განახორციელებდა საკვალიფიკაციო აქტივებზე. კაპიტალიზირებული ხარჯები გამოითვლება ჯგუფის დაფინანსების საშუალო ღირებულებით (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი ეხება საკვალიფიკაციო აქტივებზე ხარჯებს), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად აქტივის შეძენის მიზნით. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალიზირდება სესხის აღების ფაქტობრივი ხარჯები მინუს სესხების დროებითი ინვესტირებიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავალი.

### ***(iii) საწესდებო კაპიტალი***

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის წესდების ცვლილება (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, მფლობელობის და ა.შ. ცვლილება) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

## **გაუფასურება**

### ***(iv) არაწარმოებული ფინანსური აქტივები***

ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის გავლით, ფასდება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, რათა დადგინდეს, არის თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ ზარალის ფაქტი დადგა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის ფაქტმა უარყოფითი



გავლენა იქონია ამ აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებაზე, რაც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- მოვალის მხრიდან დეფოლტი ან გადახდის დაგვიანება;
- არსებული დავალიანების რესტრუქტურისა ისეთი პირობით, რომელიც ჯგუფისთვის სხვა შემთხვევაში მიუღებელი იქნებოდა
- მოვალის და ემიტენტის გაკოტრების ინდიკატორები;
- ეკონომიკური პირობები, რაც შეესაბამება დეფოლტს.

*ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.* ჯგუფი აღნიშნული აქტივების გაუფასურების მტკიცებულებებს განიხილავს როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ყველა აქტივი გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. აქტივები, რომელთა ღირებულებაც არ არის შემცირებული, კოლექტიურად შეფასდება ნებისმიერ გაუფასურებაზე, რაც არსებობს, მაგრამ ჯერ არ მოხდაიდენტიფიცირება. აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი, კოლექტიურად შეფასდება გაუფასურების დასადგენად, მსგავსი რისკების მახასიათებლების მქონე აქტივებთან ერთად.

კოლექტიური გაუფასურების შეფასებისას, ჯგუფი იყენებს დეფოლტის ალბათობის ისტორიულ სტატისტიკას, ჩამოწერილი აქტივების აღდგენის დროისა და დამდგარი ზარალის ოდენობის შესახებ, რომელიც დაკორექტირებულია ხელმძღვანელობის მიერ, იმის შესაბამისად, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობები ისეთი, რომ ფაქტობრივი ზარალი სავარაუდოდ უფრო დიდი იქნება ან ნაკლები, ვიდრე ივარაუდებოდა ისტორიული სტატისტიკით.

გაუფასურების ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა აქტივის მიმდინარე საანგარიშო ღირებულებასა და მომავალი, სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, დისკონტირებული აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება რეზერვის ანგარიშში. როდესაც ჯგუფი თვლის, რომ არ არსებობს აქტივის აღდგენის რეალური პერსპექტივა, შესაბამისი თანხები უნდა ჩამოიწეროს. პროცენტი გაუფასურებულ აქტივზე, კვლავაც აღიარებულია რეზერვების დისკონტირების ცვლილების საშუალებით. როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის შემცირებას და ასეთი შემცირება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ მოვლენას, გაუფასურების ზარალის შემცირება აღდება მოგება/ზარალის გავლით.

**(v) არაფინანსური აქტივები**

არაფინანსური აქტივების, გარდა სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა, საბალანსო ღირებულებების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა დადგინდეს გაუფასურების ინდიკატორები. ასეთი ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივების გაუფასურების შემოწმების მიზნით, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად ვერ მოწმდება, დაჯგუფებულია აქტივების უმცირეს ჯგუფად, რომელიც უწყვეტი გამოყენების შედეგად წარმოქმნის ფულად სახსრებს, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივის მიერ გამომუშავებული ფულადი სახსრების ნაკადებისგან. ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ წარმოქმნიან ფულადი სახსრების ცალკეულ ნაკადებს და მას ერთზე მეტი აქტივი იყენებს. კორპორატიული აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება, როგორც იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელის შემოწმების ნაწილი, რომელზეც მიკუთვნებულია აღნიშნული კორპორატიული აქტივი.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელის ანაზღაურებადი ღირებულება აღირიცხება აქტივის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალი მაჩვენებლით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადი დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (გადასახადების გათვალისწინების გარეშე), რომელიც ასახავს ფულის და რისკების დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფულადი სახსრების წარმომქმნელთან მიმართებით აღიარებული გაუფასურების ზარალი განაწილებულია პროპორციით შესაბამისი აქტივების საბაზისო ღირებულებების შესამცირებლად.

წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, რათა შემოწმდეს არსებობს თუ არა ზარალის შემცირების ან სრულად გაქრობის ნიშნები. გაუფასურების ზარალი შეიძლება აღდგეს მხოლოდ აქტივის იმ ღირებულებამდე, რაც იქნებოდა ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით მიმდინარე ღირებულება გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

**5. ახალი სტანდარტები და განმარტებები, რომლებიც ჯგუფს ჯერ არ მიუღია**

ქვემოთ ჩამოთვლილია შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1-ლი იანვრიდან, მაგრამ არსებითი გავლენა ჯგუფზე არ ჰქონია:

- ცვლილებები ფასს 2-ში „წილობრივი ანაზღაურება“ (მიღებული 2016 წლის 20 ივნისს, ძალაშია 2018 წლის 1-ლი იანვრიდან);
- ცვლილებები ფასს 4-ში - „ფასს 9-ის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ფასს 4 დაზღვევის კონტრაქტებში“ (მიღებული 2016 წლის 12 სექტემბერს, ძალაშია იმისდა მიხედვით, თუ როდის გამოიყენა იგი პირველად 2018 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ იმ კომპანიამ, რომელიც ირჩევს გადაფარვის მიდგომას ან კომპანიამ, რომელიც იყენებს დროებითი გათავისუფლების ოფციას).
- წლიური გაუმჯობესებები ფასს 2014-2016 ციკლში - ცვლილებები ფასს 1 და ბასს 28 (მიღებული 2016 წლის 8 დეკემბერს, ვრცელდება 2018 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ საანგარიშო წლებზე)
- IFRIC 22 (ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტი) „უცხოური ვალუტის ტრანზაქციები და წინასწარი ანაზღაურება“ (მიღებულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ვრცელდება 2018 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ საანგარიშო წლებზე)
- ცვლილებები ბასს 40-ში (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები) „საინვესტიციო ქონების ტრანსფერი“ (მიღებული 2016 წლის 8 დეკემბერს, ვრცელდება 2018 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ საანგარიშო წლებზე).

**6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

ჯგუფი აკეთებს გარკვეულ დაშვებებსა და გათვლებს, რაც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისათვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოლოდინებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და შეფასებებზე, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

**აქტივების გაუფასურება და რეზერვების აღრიცხვა**

თითოეული საბალანსო დოკუმენტის მომზადებისას ჯგუფი აფასებს, არის თუ არა ნიშანი, რომ ჯგუფის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე. ასეთი ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აღრიცხავს

ანაზღაურებად ქონებას, საბალანსო ოდენობა მცირდება ქონების ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებული იქნება წლის მოგებასა თუ ზარალში.

### **დაკავშირებული მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება**

ნორმალურ ბიზნეს პროცესში, ჯგუფი ახორციელებს ტრანზაქციებს მასთან დაკავშირებულ პირებთან. ბასს 39 მოითხოვს, რომ ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მოხდეს სამართლიანი ღირებულებით. გადაწყვეტილების მიღებისას უნდა განისაზღვროს, ტრანზაქციების ფასი არის თუ არა საბაზრო ან არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთების შესაბამისი, როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი ტრანზაქციებისათვის. გადაწყვეტილების მიღების საფუძველი არის ფასის განსაზღვრა მსგავსი ტიპის ტრანზაქციებისათვის არადაკავშირებულ მხარეებთან მიმართებაში და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

### **ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის სავარაუდო განსაზღვრა ეფუძნება მსგავს აქტივებზე წარსულ გამოცდილებას. იმ სამომავლო ეკონომიკური სარგებლის გამოყენება, რომელიც აქტივების ნაწილს წარმოადგენს, ხდება მოხმარების პროცესში. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ამორტიზაცია ხშირად განაპირობებს ეკონომიკური სარგებლის, როგორც აქტივების ნაწილის შემცირებასაც. მენეჯმენტი აფასებს სასარგებლო გამოყენების დარჩენილ ვადას მიმდინარე ტექნიკურ მდგომარეობასთან მიმართებაში და განსაზღვრავს სავარაუდო პერიოდს, რომლის ფარგლებშიც აქტივებმა უნდა მოუტანოს ჯგუფს სარგებელი. ამ პროცესში გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ამორტიზაცია, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლის გეგმაზე; და (გ) ტექნიკური დაძველება და ფიზიკური ცვეთა, საბაზრო პირობების ცვლილებებიდან გამომდინარე.

### **სამართლიანი ღირებულებით შეფასება**

ჯგუფის ზოგიერთი სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებები მოითხოვს სამართლიანი ღირებულების შეფასებას, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის. სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია როგორც შეფასების, ისე განმარტების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულებები ღირებულების განსაზღვრის ტექნიკაში გამოყენებულ პარამეტრებზე დაყრდნობით დაყოფილია სხვადასხვა დონეებად სამართლიანი ღირებულების იერარქიაში:

- **პირველი დონე:** დადგენილი ფასები (დაუკორექტირებელი) აქტივების ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისათვის;
- **მეორე დონე:** პარამეტრები, გარდა დადგენილი ფასებისა, რომელიც მოცულია პირველი დონით და რომელთა დანახვაც შესაძლებელია აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, პირდაპირ (მაგ.: ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ.:

ფასებიდან გამომდინარე);

- **მესამე დონე:** აქტივების ან ვალდებულებების პარამეტრები, რომლებიც არ ეფუძნება საბაზრო მონაცემებს (არასაბაზრო პარამეტრები)

თუ პარამეტრები, რომლებიც გამოიყენება აქტივების ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გასაზომად შესაძლოა დაიყოს სხვადასხვა დონეებად სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, მაშინ სამართლიანი ღირებულების გაზომვაც კატეგორიზდება იმავე დონეზე სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, როგორც ყველაზე დაბალი ხარისხის პარამეტრი, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას გაკეთებული ვარაუდების შესახებ მოცემულია მე-16 დანართში - სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა.

## **7. ახალი საბუღალტრო განმარტებები**

გამოიცა ცალკეული ახალი სტანდარტები და განმარტებები, რომლებიც სავალდებულოა 2019 წლის 1-ლი იანვრის შემდგომი სააღრიცხვო პერიოდებისათვის და რომელიც ჯგუფს ვადაზე ადრე არ გამოუყენებია.

ფასს 16, იჯარა (გამოცემული 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში 2019 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტი აწესებს იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტების პრინციპებს. ყველა საიჯარო ხელშეკრულება იწვევს მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების გადაცემას იჯარის დასაწყისში და ვადაგადაცემის შემთხვევაში, ასევე ფინანსების. შესაბამისად, ფასს 16 გამორიცხავს იჯარების კლასიფიკაციას, როგორც საოპერაციო ან საფინანსო იჯარისა, როგორც ეს მოთხოვნილია IAS 17-ით და, სანაცვლოდ, აწესებს დამოუკიდებელი მოიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოდელს. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის 12 თვეზე მეტი ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის დაბალი ღირებულების; და (ბ) საიჯარო აქტივების გაუფასურება საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთისაგან დამოუკიდებლად მოგების ან ზარალის და სხვა შემოსავლის დოკუმენტში. ფასს 16 განავრცობს მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნებს IAS 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს მისი იჯარის კლასიფიცირებას, როგორც საოპერაციო ან საფინანსო იჯარისა და ამ ორი ტიპის იჯარის დამოუკიდებლად აღრიცხვას. ჯგუფი არ ელის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ახალი სტანდარტით მნიშვნელოვან ცვლილებას.

ფასს 17 „სადაზღვევო კონტრაქტები“ (მიღებული 2017 წლის 18 მაისს, ძალაში 2021 წლის 1-ლი იანვრის შემდგომი საანგარიშო წლებისათვის). ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4-ს, რომელიც საშუალებას აძლევდა კომპანიებს გაეგრძელებინათ სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში საბუღალტრო აღრიცხვა არსებული პრაქტიკის მიხედვით.

შედეგად, ინვესტორისათვის რთული იყო შეედარებინა და სხვაობა დაენახა მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსურ საქმიანობასთან. ფასს 17 წარმოადგენს ერთ პრინციპზე დაფუძნებულ სტანდარტს ყველა სადაზღვევო კონტრაქტისათვის, მათ შორის გადაზღვევის კონტრაქტებისათვის, რომელსაც ფლობს მზღვეველი. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფების აღიარებასა და შეფასებას შემდეგნაირად: (I) რისკზე მორგებული მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობის ამჟამინდელ ღირებულებას, რაც აერთიანებს ყველა არსებულ დაკვირვებად საბაზრო ინფორმაციას ფულადი სახსრების დინების შესახებ; პლიუსი (თუ ეს ღირებულება არის ვალდებულება) ან მინუსი (თუ ღირებულება არის აქტივი) (II) ამ პერიოდში სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფში მიუღებელი მოგების ღირებულება (მომსახურების მარჟა). მზღვეველი აღიარებს მოგებას სადაზღვევო კონტრაქტებიდან იმ პერიოდისათვის, რომელსაც ფარავს დაზღვევა, როდესაც ისინი გათავისუფლდებიან რისკისაგან. თუ კონტრაქტების ჯგუფი იქნება ზარალიანი, კომპანია ზარალს აღიარებს დაუყოვნებლივ. ჯგუფი არ მოელის ახალი სტანდარტით გამოწვეულ ცვლილებებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**IFRIC 23 „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადთან მიმართებაში“** (მიღებულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაშია 2019 წლის 1-ლი იანვრის შემდგომი საანგარიშო პერიოდებისათვის). IAS 12 აზუსტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადის აღრიცხვა, მაგრამ არა განუსაზღვრელობის ეფექტების ასახვა. განმარტებები ხსნის, თუ როგორ უნდა მოხდეს აღიარებისა და შეფასების მოთხოვნების მისადაგება IAS 12-ით, როდესაც მოგების გადასახადის გამოთვლასთან მიმართებაში არსებობს განუსაზღვრელობა. ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, გაითვალისწინოს თუ არა თითოეული განუსაზღვრელი საგადასახადო რეჟიმი დამოუკიდებლად თუ სხვა ერთ ან მეტ განუსაზღვრელ საგადასახადო რეჟიმებთან ერთად, იმის გათვალისწინებით, თუ რომელი მიდგომით შეძლებს განუსაზღვრელობის უკეთესად აღმოფხვრას. ორგანიზაციამ უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს ყველაფერს, რისი შემოწმების უფლებაც აქვს და ამ შემოწმების პროცესში ექნება სრულყოფილი ცოდნა ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე. თუ ორგანიზაცია ვარაუდობს, რომ საგადასახადო ორგანო არ მიიღებს განუსაზღვრელი გადასახადის აღრიცხვას, ამ განუსაზღვრელობის ეფექტი აისახება შესაბამისი დასაბეგრი მოგების ან ზარალის აღრიცხვაზე, საგადასახადო ბაზებზე, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალზე, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტზე ან საგადასახადო ტარიფზე, სავარაუდო ან მოსალოდნელი ოდენობის გამოყენებით, იმის გათვალისწინებით, თუ რომელი მეთოდით მოელის ორგანიზაცია განუსაზღვრელობის საუკეთესო აღმოფხვრას. ორგანიზაცია ასახავს ფაქტებისა და გარემოებებში ცვლილებების ეფექტს, ან იმ ახალი ინფორმაციის ეფექტს, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილებებსა და გაანგარიშებებზე, რაც განმარტებებით შეფასებულია, როგორც ცვლილება საბუღალტრო გაანგარიშებაში. მაგალითები ფაქტებსა და გარემოებებში ცვლილებებისა, ან იმ ახალი ინფორმაციისა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ხელახალი

შეფასების აუცილებლობა, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება საგადასახადო ორგანოს შემოწმებით, საგადასახადო ორგანოს მიერ დაწესებული ახალი წესებით ან საგადასახადო ორგანოს უფლების გაუქმებით, პირველად ან განმეორებით შეამოწმოს საგადასახადო აღრიცხვა. საგადასახადო ორგანოს მიერ დაბეგვრაზე თანხმობის არქონა ან დაუთანხმებლობა, დამოუკიდებლად, არ გამოიწვევს ცვლილებას ფაქტებსა და გარემოებებში ან იმ ინფორმაციაში, რაც გავლენას ახდენს განმარტებებით მოთხოვნილ გადაწყვეტილებებსა და გაანგარიშებებზე. მიმდინარე პერიოდში ჯგუფი აფასებს განმარტებების ზეგავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი სტანდარტები და განმარტებები მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი.

## 8. ძირითადი საშუალებები და გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები

იხილეთ ძირითადი საშუალებების ღირებულებების ცვლილებები ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| '000 ლარი                                                                       | მიწა         | მანქანა-<br>დანადგარები,<br>ავტომანქანები<br>და სხვა | სამშენებლო<br>აღჭურვილობა | დაუსრულებელი<br>შენიშვნა *<br>შენიშვნა | ჯამი           | გრძელვადიან<br>აქტივებში<br>გადახდილი<br>ავანსები |
|---------------------------------------------------------------------------------|--------------|------------------------------------------------------|---------------------------|----------------------------------------|----------------|---------------------------------------------------|
| <b>ღირებულება</b>                                                               |              |                                                      |                           |                                        |                |                                                   |
| ბალანსი 2017 წლის 1 იანვარს                                                     | 376          | 906                                                  | 35,373                    | 71,517                                 | 108,172        | 19,975                                            |
| დანამატები                                                                      | 1            | -                                                    | 31                        | 55,635                                 | 55,667         | 10,117                                            |
| ამოღება/ჩამოწერა                                                                | -            | (46)                                                 | (35,417)                  | (1,545)                                | (37,008)       | -                                                 |
| ცვეთის კაპიტალიზირებული<br>ხარჯები                                              | -            | -                                                    | -                         | 12,282                                 | 12,282         | -                                                 |
| ძირითად საშუალებებში<br>გადატანა / გადახდილი<br>ავანსების აღიარების<br>შეწყვეტა | -            | 77                                                   | 44                        | 6,946                                  | 7,067          | (8,293)                                           |
| <b>ბალანსი 2017 წლის წლის 31<br/>დეკემბერს</b>                                  | <b>377</b>   | <b>937</b>                                           | <b>31</b>                 | <b>144,835</b>                         | <b>146,180</b> | <b>21,799</b>                                     |
| <b>დაგროვილი ცვეთა და<br/>გაუფასურება</b>                                       |              |                                                      |                           |                                        |                |                                                   |
| ბალანსი 2017 წლის 1 იანვარს                                                     | -            | 731                                                  | 10,827                    | -                                      | 11,558         | -                                                 |
| წლიური ცვეთა                                                                    | -            | 57                                                   | 12,282                    | -                                      | 12,339         | -                                                 |
| ძირითადი საშუალებების<br>გაუფასურების ზარალი                                    | -            | -                                                    | -                         | 80,182                                 | 80,182         | -                                                 |
| ჩამოწერა                                                                        | -            | (33)                                                 | (23,109)                  | -                                      | (23,142)       | -                                                 |
| <b>ბალანსი 2017 წლის წლის 31<br/>დეკემბერს</b>                                  | <b>-</b>     | <b>755</b>                                           | <b>-</b>                  | <b>80,182</b>                          | <b>80,937</b>  | <b>-</b>                                          |
| <b>ღირებულება</b>                                                               |              |                                                      |                           |                                        |                |                                                   |
| ბალანსი 2018 წლის 1 იანვარს                                                     | 377          | 937                                                  | 31                        | 144,835                                | 146,180        | 21,799                                            |
| დანამატები                                                                      | 677          | -                                                    | -                         | 58,134                                 | 58,811         | 6,387                                             |
| ამოღება/ჩამოწერა                                                                | -            | (18)                                                 | -                         | (309)                                  | (327)          | -                                                 |
| ცვეთის კაპიტალიზირებული<br>ხარჯები                                              | -            | -                                                    | -                         | -                                      | -              | -                                                 |
| ძირითად საშუალებებში<br>გადატანა / გადახდილი<br>ავანსების აღიარების<br>შეწყვეტა | 32           | 385                                                  | 31                        | 6,673                                  | 7,121          | (8,508)                                           |
| <b>ბალანსი 2018 წლის წლის 31<br/>დეკემბერს</b>                                  | <b>1,086</b> | <b>1,304</b>                                         | <b>62</b>                 | <b>209,333</b>                         | <b>211,785</b> | <b>19,678</b>                                     |
| <b>დაგროვილი ცვეთა და<br/>გაუფასურება</b>                                       |              |                                                      |                           |                                        |                |                                                   |
| ბალანსი 2018 წლის 1 იანვარს                                                     | -            | 755                                                  | 0                         | 80,182                                 | 80,937         | -                                                 |
| წლიური ცვეთა                                                                    | -            | 76                                                   | -                         | -                                      | 76             | -                                                 |
| ძირითადი საშუალებების<br>გაუფასურების ზარალი                                    | -            | -                                                    | -                         | 16,758                                 | 16,758         | -                                                 |
| ჩამოწერა                                                                        | -            | (7)                                                  | -                         | -                                      | (7)            | -                                                 |



ბალანსი 2018 წლის წლის 31  
დეკემბერს

|   |     |   |        |        |   |
|---|-----|---|--------|--------|---|
| - | 824 | - | 96,940 | 97,764 | - |
|---|-----|---|--------|--------|---|

საბალანსო ღირებულება

|                        |       |     |        |         |         |        |
|------------------------|-------|-----|--------|---------|---------|--------|
| 2017 წლის 1 იანვარს    | 376   | 175 | 24,546 | 71,517  | 96,614  | 19,975 |
| 2017 წლის 31 დეკემბერს | 377   | 182 | 30     | 64,653  | 65,242  | 21,799 |
| 2018 წლის 31 დეკემბერს | 1,086 | 480 | 62     | 112,393 | 114,021 | 19,678 |

(\*) დაუსრულებელი მშენებლობა - მიმდინარე მშენებლობა და დაუმონტაჟებელი მანქანა-დანადგარები

**(a) ძირითადი საშუალებების გაუფასურება**

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ხელმძღვანელობამ დაადგინა გაუფასურების ინდიკატორები (გვირაბში არსებული არახელსაყრელი გეოლოგიური მდგომარეობა, რომელიც იწვევდა შეფერხებებს და გადახარჯვას, ზოგიერთი მსხვილი სამოქალაქო ნაგებობების საპროექტო ცვლილებებს, რაც ასევე იწვევდა დამატებით დანახარჯებს) და მოიწვია დამოუკიდებელი შეფასების ექსპერტი შპს KPMG საქართველო, ძირითადი საშუალებების გაუფასურების განსასაზღვრად. ექსპერტებმა აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება გამოთვალეს გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით (VIU). ამ გამოთვლებში გამოყენებულია ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზები, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული 23-წლიანი ფინანსური ბიუჯეტის საფუძველზე (მშენებლობის ვადა + PPA ხელშეკრულების ვადა + სამშენებლო სამუშაოებში შესაძლო შეფერხებები). 23-წლიანი პერიოდის შემდეგ ფულადი სახსრების ნაკადები ექსტრაპოლირებულია პროგნოზირებადი ზრდის ტემპის გამოყენებით, პროგნოზირების შემდგომ პერიოდში 1.9%-ით. ფულადი ნაკადების წარმომქმნელის (CGU) გამოყენების ღირებულება (VIU) გამოითვალეს კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულებით (WACC), 13.76%-ით. კონკრეტული რისკის პრემია, 2% ოდენობით გამოიყენეს WACC-ზე, რათა გაეთვალისწინებინათ გვირაბის ჩამონგრევის შედეგად, სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტით გამოწვეული გაურკვევლობები და რისკები, კერძოდ, კაპიტალური ხარჯების პოტენციური ზრდის რისკები გვირაბის სამუშაოების დასასრულებლად, ასევე სამუშაოების დაწყების თარიღის შეფერხების და დაზღვევის ანაზღაურების რისკები.

**(b) დაუსრულებელი მშენებლობა და გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები**

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობისთვის გაწეულ კაპიტალურ დანახარჯებს (იხილეთ შენიშვნა 1 (ბ)), მათ შორის ჰიდროელექტრო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით შეძენილი აღჭურვილობის ხარჯებს. მიმდინარე მშენებლობაზე დანამატები მოიცავს კაპიტალიზირებულ სესხებს 7,604 ლარის (2017: 1,749 ლარის) ოდენობით.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები წარმოადგენს წინასწარ ანგარიშსწორებას, რაც განხორციელდა შპს ფერის სასარგებლოდ (2018: 4,459 ლარი; 2017: 3,115 ლარი), შპს საქენერგორემონტისა (2018: 3,349 ლარი; 2017:

4,642 ლარი;) და Voith Hydro GmbH & Co KG (2018: 2,678 ლარი; 2017: 4,694 ლარი;) გვირაბის გაყვანის, სამშენებლო და ელექტრო-მექანიკური სამუშაოების შესრულებისთვის.

#### მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე აქტივების ავანსები მოიცავს საფასურს გვირაბის სამუშაოების მომსახურებისთვის - გვირაბგამყვანი მანქანისთვის (TBM) - 8,823 ლარს; (2017: 8,823 ლარი), რაც არის გვირაბგამყვანი მანქანის წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის სხვაობა. ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა 2017 წლის 29 დეკემბერს შპს „ფერისთან“. შეთანხმებული გასაყიდი ფასი განისაზღვრა გვირაბგამყვანი მანქანის წმინდა საბალანსო ღირებულებით, კონტრაქტის მხარისთვის გვირაბგამყვანი მოწყობილობის საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული რისკების სავარაუდო ღირებულებისა და დამატებითი სამუშაოების ღირებულების სხვაობით. ავანსი ამორტიზირდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გვირაბის გათხრების სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპების შესაბამისად.

#### (c) უზრუნველყოფა

ჯგუფმა ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად 2016 წლის 29 დეკემბერს დააგირავა თავისი ძირითადი საშუალებები სრულად, შპს „მტკვარი ჰესში“ კომპანიის 100% წილი, ყველა არსებული და მომავალი არამატერიალური აქტივი დაგირავებულია 2016 წლის 29 დეკემბერს.

#### 9. ვადიანი დეპოზიტი

| '000 ლარი        | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|------------------|----------------------|----------------------|
| ვადიანი დეპოზიტი | 2,784                | 2,696                |

ვადიანი ანაბარი წარმოადგენს ერთ ანაბარს, რომელიც შემოიფარგლება სს საქართველოს ბანკის მიერ, საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტიით (საკრედიტო რეიტინგი - BB-) ჰესის მშენებლობის შესახებ მემორანდუმით გათვალისწინებული ჯგუფის ვალდებულებების დასაფარად (იხილეთ შენიშვნა 1).

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკი, საკრედიტო რისკი და ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისადმი მოქმედების ანალიზი მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

**10. წინასწარ გადახდილი გადასახადები**

| '000 ლარი                                                       | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|-----------------------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| ანაზღაურებადი დღგ                                               | 9,783                | 16,696               |
| გადასახდელი ქონების გადასახადი                                  | (3,152)              | (2,930)              |
| სხვა გადასახდელი გადასახადები                                   | (818)                | (608)                |
| <b>სულ წინასწარ გადახდილი და<br/>ანაზღაურებადი გადასახადები</b> | <b>5,813</b>         | <b>13,158</b>        |

ხელმძღვანელობა გეგმავს საგადასახადო აქტივის დაბრუნებას საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან, კერძოდ კი, 2019 ფინანსურ წელს იგეგმება 4,700 ლარის ანაზღაურება, დარჩენილი დამატებული ღირებულების გადასახადი შენარჩუნდება სხვა საგადასახადო ვალდებულებების ჩასათვლელად, იხილეთ შენიშვნა 4 (ე)(II)

**11. სხვა მოთხოვნები**

| '000 ლარი                 | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|---------------------------|----------------------|----------------------|
| მოთხოვნები                | 4,497                | 3,785                |
| სხვა ფინანსური მოთხოვნები | 340                  | 222                  |
| <b>სულ მოთხოვნები</b>     | <b>4,837</b>         | <b>4,007</b>         |

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნების ბალანსი მოიცავს მოთხოვნას 4,036 ლარს (2017: 3,763 ლარი) გვირაბგამყვანი მანქანის, სათადარიგო მთავარი საკისრის, და სხვა საჭირო აღჭურვილობის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, შპს „მტკვარი ჰესსა“ და შპს „ფერის“ შორის.

შენაძენის ჯამური ღირებულება შეადგენს 1,703 აშშ დოლარს, საიდანაც 239 აშშ დოლარი ანაზღაურებულია ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულება, 1,464 აშშ დოლარის ოდენობით გამოქვითოს/ჩათვალოს დასაკავებელი ფულადი სახსრებიდან, გვირაბის გაყვანის სამუშაოების შესახებ კონტრაქტის პირობების თანახმად.

ვინაიდან, გვირაბგამყვანი მანქანა, უზრუნველყოფის მიზნით დაგირავებულია სს თიბისი ბანკთან დადებული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, ჯგუფი არ არის უფლებამოსილი დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულება გამოქვითოს/ჩათვალოს დასაკავებელი ფულადი სახსრებიდან, გირავნობის გაუქმებამდე.

აღნიშნული მოთხოვნა სრულად უზრუნველყოფილია საბანკო გარანტიით, რომელიც გაცემულია სს თიბისი ბანკის მიერ, რომელიც ფლობს BB- საკრედიტო რეიტინგს.

## 12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| '000 ლარი                                        | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|--------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| მოთხოვნამდე ნაშთები საბანკო ანგარიშებზე          | 3,440                | 20,047               |
| <b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b> | <b>3,440</b>         | <b>20,047</b>        |
| <b>31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                 |                      |                      |

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხი Fitch რეიტინგის მიხედვით, მოცემულია ქვემოთ.

| '000 ლარი                                                                   | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|-----------------------------------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| <i>არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული</i>                            |                      |                      |
| BB- რეიტინგით                                                               | 3,343                | 19,938               |
| B+ რეიტინგით                                                                | -                    | 119                  |
| B რეიტინგით                                                                 | 97                   | -                    |
| <b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>3,440</b>         | <b>20,047</b>        |

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკი, საკრედიტო რისკი და ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისადმი მოქმედების ანალიზი მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

## 13. საკუთარი კაპიტალი და კაპიტალის მართვა

## (a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას, ჯგუფის სადამფუძნებლო დოკუმენტების მიხედვით.

| '000 ლარი                                | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|------------------------------------------|----------------------|----------------------|
| ბალანსი 1 იანვრის მდგომარეობით           | 171,918              | 152,051              |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა                 | 5,428                | 19,866               |
| <b>ბალანსი 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>177,346</b>       | <b>171,918</b>       |

## (b) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯგუფის გასანაწილებელი რეზერვები შემოიფარგლება ჯგუფის გაუნაწილებელი მოგებით, რაც აღნიშნულია ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ჯგუფის ოფიციალურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**(c) კაპიტალის მართვა**

ჯგუფს არ გააჩნია კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი ჯგუფის სამუშაო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვითა და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რასაც ძირითადად აფინანსებენ ჯგუფის მფლობელები და ადგილობრივი კომერციული ბანკი - სს თიბისი ბანკი.

ჯგუფზე არ ვრცელდება საგარეო მოთხოვნები კაპიტალთან მიმართებით.

**(d) ბიზნეს კომბინაცია**

2017 წლის დასაწყისში კომპანიის უშუალო დამფუძნებელი იყო შპს „ჯი სი ეფ ჰიდრო დეველოპმენტი“, რომელიც 2017 წლის 13 ივნისს გაუქმდა და მისი აქტივები და ვალდებულებები განაწილდა არსებულ შვილობილ კომპანიებში. შედეგად, შპს „მტკვარი ჰოლდინგს“ წილად ხვდა შპს „ჯი სი ეფ ჰიდრო დეველოპმენტის“ 2017 წლის 13 ივნისამდე დაგროვილი მთლიანი სრული შემოსავლიდან წილი 2,007 ლარი, რაც ბიზნეს კომბინაციის შედეგად აისახა კომპანიის გაუნაწილებელ მოგებაში.

**14. ნასესხები სახსრები**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა ნარჩენი დავალიანება სს თიბისი ბანკის ვადიანი სესხიდან 92,877 ლარის ოდენობით, რომელიც ჯგუფმა მიიღო რამდენიმე ტრანშის სახით (2017: 57,732 ლარი). სესხის ძირითადი ვალუტა არის აშშ დოლარი, დაფარვის ვადა აქვს 2030 წელი და გააჩნია ძირის და პროცენტების გადახდის საშელავათო პერიოდი 2019 წლის აგვისტომდე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთია წლიური 12.18% (2017 წ.: 2017: წლიური 11.36%).

სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს პლუს LIBOR-ის 3-თვიანი განაკვეთი აშშ დოლარში. ფიქსირებული განაკვეთი ხელშეკრულებით განისაზღვრება წლიური 10%-ით, გვირაბის მშენებლობის დასრულებამდე, წლიური 9%-ით გვირაბის დასრულების შემდეგ და ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლამდე და ელექტროსადგურის წარმატებული მუშაობიდან 6 თვის შემდეგ კი, 8.5%-ით.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების ზემოქმედება ჯგუფის ნასესხებ სახსრებზე და ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ხელშეკრულების განმეორებითი შეფასების თარიღები წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, ასევე შპს „მტკვარი ჰოლდინგის“ 100% წილი შპს „მტკვარი ჰესში“ დაგირავებულია სესხის უზრუნველყოფის მიზნით.

### ნასესხები სახსრების წმინდა ღირებულების შედარება

ცხრილში მოცემულია სესხის წმინდა ღირებულების ანალიზი და თითოეულ პერიოდზე ჯგუფის ვალდებულებების ცვლილებები ფინანსური საქმიანობიდან. ეს ვალდებულებები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების ნაწილში.

|                                                    | ნასესხები<br>სახსრები |
|----------------------------------------------------|-----------------------|
| <b>’000 ლარი</b>                                   |                       |
| <b>ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>57,732</b>         |
| ფულადი შემოსავალი                                  | 23,181                |
| საპროცენტო ხარჯი                                   | 9,184                 |
| პროცენტის დაფარვა                                  | (786)                 |
| ვალუტის კურსის ცვლილების ზარალი                    | 3,566                 |
| <b>ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>92,877</b>         |

2018 წლის განმავლობაში დაგროვილი 8,357 ლარის ღირებულების პროცენტის ხარჯი (2017: 2,647 ლარი) კაპიტალიზდა დაუსრულებელ მშენებლობაზე (შენიშვნა 8).

### 15. ვალდებულებები

|                                       | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 |
|---------------------------------------|----------------------|----------------------|
| <b>’000 ლარი</b>                      |                      |                      |
| <b>მიმდინარე</b>                      |                      |                      |
| დავალიანება დაუსრულებელი              | 12,050               | 4,965                |
| მშენებლობიდან                         |                      |                      |
| სხვა ვალდებულებები                    | 37                   | 51                   |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    | <b>12,087</b>        | <b>5,016</b>         |
| <b>გრძელვადიანი</b>                   |                      |                      |
| დავალიანება დაუსრულებელი              | 2,786                | 1,672                |
| მშენებლობიდან                         |                      |                      |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> | <b>2,786</b>         | <b>1,672</b>         |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              | <b>14,845</b>        | <b>6,688</b>         |

ჯგუფის ვალდებულებები მოიცავს ყველა ფინანსურ დავალიანებას და ძირითადად შედგება კონტრაქტორი ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამის ასანაზღაურებელ თანხებს (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით Voith Hydro GmbH & Co KG–სათვის გადასახდელი 7,781 ლარი (2017: 574 ლარი)) და დასაკავებელ თანხებს, რომლებიც აღნიშნულია კონტრაქტორებთან ხელშეკრულებაში და გადახდას ექვემდებარება სამუშაოების შესრულების შემდეგ, როდესაც ჯგუფი ჩაიბარებს შესრულებულ სამუშაოს (სს საქენერგორემონტი - 2018: 2,568 ლარი, 2017: 1,590 ლარი; შპს პერი - 2018: 3,845 ლარი, 2017: 3,724 ლარი).

## 16. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა

### (a) სააღრიცხვო კლასიფიკაცია და სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებები, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეზე გაანალიზებულია შემდეგნაირად: (I) პირველი დონე - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მოქმედ ბაზრებზე კვოტირებული ფასების (დაუკორექტირებელი) შეფასება, (II) მეორე დონის შეფასებები, წარმოადგენს შეფასების ისეთ ტექნიკას, აქტივებში ან ვალდებულებებში შესამჩნევი ყველა არსებით საშუალებით, პირდაპირი (ანუ ფასები) ან არაპირდაპირი გზით (ანუ ფასებიდან გამომდინარე), და (III) მესამე დონის შეფასებები, რაც არ ეფუძნება ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს (არასაბაზრო საშუალებები). ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას ხელმძღვანელობა იყენებს პროფესიულ დაშვებებს სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასება ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს იყენებს, რაც მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებს, ეს შეფასება მიეკუთვნება მე-3 დონის შეფასებას. შეფასების მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასებით.

*აქტივები და ვალდებულებები, რომელიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება ცნობილია*

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულება და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ:

| ლარი'000                                | 31 დეკემბერი 2018 |              |                |                | 31 დეკემბერი 2017 |               |               |               |
|-----------------------------------------|-------------------|--------------|----------------|----------------|-------------------|---------------|---------------|---------------|
|                                         | დონე              |              |                |                | დონე              |               |               |               |
|                                         | 1                 | 2            | 3              | Total          | 1                 | 2             | 3             | სულ           |
| <b>აქტივები</b>                         |                   |              |                |                |                   |               |               |               |
| - ფულადი ნაკადები და მათი ეკვივალენტები | -                 | 3,440        | -              | 3,440          | -                 | 20,047        | -             | 20,047        |
| - ვადიანი დეპოზიტი                      | -                 | -            | 2,784          | 2,784          | -                 | -             | 2,696         | 2,696         |
| - სხვა მოთხოვნები                       | -                 | -            | 4,837          | 4,837          | -                 | -             | 4,007         | 4,007         |
| <b>სულ აქტივები</b>                     | -                 | <b>3,440</b> | <b>7,621</b>   | <b>11,061</b>  | -                 | <b>20,047</b> | <b>6,703</b>  | <b>26,750</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                    |                   |              |                |                |                   |               |               |               |
| - ვალდებულებები                         | -                 | -            | 14,888         | 14,888         | -                 | -             | 6,688         | 6,688         |
| - ნასესხები სახსრები                    | -                 | -            | 92,877         | 92,877         | -                 | -             | 57,732        | 57,732        |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                | -                 | -            | <b>107,765</b> | <b>107,765</b> | -                 | -             | <b>64,420</b> | <b>64,420</b> |

მეორე და მესამე დონის სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. არაკვოტირებული ფიქსირებული

საპროცენტო განაკვეთების სამართლიანი ღირებულება შეფასდა სავარაუდო, სამომავლო ნაკადების საფუძველზე, რისი მიღებაც მოსალოდნელია ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებით, ანალოგიური საკრედიტო რისკით და დაფარვის დარჩენილი ვადით.

**ფინანსური აქტივები წარმოდგენილი ამორტიზირებული ღირებულებით.** ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, ჩვეულებრივ, მათი საბალანსო ღირებულებაა. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების სამართლიანი ღირებულება ფასდება სავარაუდო, სამომავლო ნაკადების საფუძველზე, რისი მიღებაც მოსალოდნელია ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით, ანალოგიური საკრედიტო რისკით და დაფარვის დარჩენილი ვადით. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები გამომდინარეობს მეორე მხარის საკრედიტო რისკებიდან.

**ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილი ამორტიზირებული ღირებულებით.** დაფარვის დადგენილ ვადიანი ინსტრუმენტების ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის სამართლიანი ღირებულება, რაზეც კვოტირებული საბაზრო ფასი ხელმისაწვდომი არ არის, შეფასდა სავარაუდო, სამომავლო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რისი მიღებაც მოსალოდნელია ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებით, ანალოგიური საკრედიტო რისკით და დაფარვის დარჩენილი ვადით. სავაჭრო მოთხოვნების და სხვა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება თითქმის უტოლდება მათ სამართლიან ღირებულებას, მათი მოკლევადიანობიდან გამომდინარე.

## (b) ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის შიგნით რისკების მართვა ხორციელდება ფინანსური რისკების, ოპერაციული რისკების და იურიდიული რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკისა და სხვა საფასო რისკების გათვალისწინებით), საკრედიტო რისკს, და ლიკვიდურობის რისკს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებას, ოპერაციული და სამართლებრივი რისკების შემცირების მიზნით.

## (i) რისკების მართვის სისტემა

სამეთვალყურეო საბჭო, ჯგუფის ხელმძღვანელობასთან ერთად პასუხისმგებელია ჯგუფის რისკების მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე, ასევე ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზე და მისი საქმიანობის შესახებ აქციონერის წინაშე რეგულარულ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკა ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და გაანალიზების მიზნით იქმნება, სათანადო რისკების



საზღვრებისა და კონტროლის დაწესების, რისკების მონიტორინგისა და საზღვრების დაცვისთვის. რეგულარულად განიხილება რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემები, რათა ასახავდეს ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებს და აისახოს ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფი, ტრენინგის და მენეჯმენტის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით, მიზნად ისახავს მოწესრიგებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შემუშავებას, სადაც თითოეული თანამშრომელი აცნობიერებს საკუთარ როლს და მოვალეობას.

## (ii) საკრედიტო რისკი

ჯგუფი პასუხისმგებლობას იღებს საკრედიტო რისკზე, რაც წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე მეორე მხარის ფინანსურ ზარალს გამოიწვევს, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვის და სხვა კონტრაგენტებთან ტრანზაქციების შედეგად, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში, კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

| '000 ლარი                                           | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
|-----------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ვადიანი დეპოზიტი (შენიშვნა 9)                       | 2,784             | 2,696             |
| სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 11)                       | 4,837             | 4,007             |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 12) | 3,440             | 20,047            |
| <b>სულ აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით</b>      | <b>11,061</b>     | <b>26,750</b>     |
| ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14)                    | (92,877)          | (57,732)          |
| ვალდებულებები (შენიშვნა 15)                         | (14,888)          | (6,688)           |
| <b>სულ ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით</b> | <b>(107,765)</b>  | <b>(64,420)</b>   |

საკრედიტო რისკი შემცირებულია გირაოსა და სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებით, რაც მოცემულია მე-12 შენიშვნაში.

**საკრედიტო რისკის კონცენტრაცია.** ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი მიმდინარე მოთხოვნებიდან. 2018 წლის 31 დეკემბერს, ჯგუფს ჰქონდა მოთხოვნა შპს „ფერისთან“ სამშენებლო ტექნიკის გაყიდვიდან, მოთხოვნილი ბალანსით - 3,691 ლარის ოდენობით (2017: 3,533 ლარი) ან სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხის 76% (2017: 88%) ოდენობით.

საკრედიტო რისკის კონცენტრაციის რისკი არსებობს ჯგუფის ვადიან დეპოზიტებზე, ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან მიმართებით. ჯგუფის დეპოზიტები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ინახება მხოლოდ ორ ბანკში. რისკის მართვა

ხდება ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებით, რომელთაც სტაბილური გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი აქვთ, Fitch-ის საკრედიტო რეიტინგების დამოუკიდებელი პროვაიდერის შეფასების მიხედვით (შენიშვნა 9, 13). ხელმძღვანელობა, მოვალეთა საკრედიტო ხარისხს რეგულარულად აკონტროლებს, რათა ადრეულ ეტაპზე მოხდეს ფინანსური გაუარესების იდენტიფიკაცია.

### (iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც ჯგუფს შეეძლება სირთულე მისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, რაც გადაიჭრება ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემით. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდურობის მართვის საკითხში არის ის, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს საკმარისი ლიკვიდურობა აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ასევე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი ზარალის გამოწვევის ან ჯგუფის რეპუტაციის შელახვის რისკის გარეშე.

ჯგუფი ამ ეტაპზე არ გამოიმუშავებს შემოსავლებს და დაფინანსებას იღებს დამფუძნებელი კომპანიისგან და ფინანსური ინსტიტუტისგან (სს თიბისი ბანკი). ამ მიზნით, ჯგუფი აკეთებს პროგნოზს ფულადი სახსრების გადინებაზე, დაგეგმილი განვითარების სამუშაოებით განსაზღვრული სავარაუდო ფინანსური საჭიროების საფუძველზე. ჯგუფი მიზნად ისახავს ჰესის განვითარების დაფინანსებას დამფუძნებელი კომპანიისგან და ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სახსრებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, არსებული სახელშეკრულებო ვადის შესაბამისად. ცხრილში წარმოდგენილი თანხები არის სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხისგან, რადგან კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ემყარება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდებს გადაიყვანენ გადახდის მომენტისთვის არსებული გაცვლითი კურსით, საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

### 31 დეკემბერი 2018

| '000 ლარი                                              | საბალანსო<br>ღირებულება | მოთხოვნამდე და<br>1 თვეზე ნაკლებ<br>დროში | 1-დან 3<br>თვემდე | 3-დან 12<br>თვემდე | 12 თვიდან 5<br>წლამდე | 5 წელზე<br>მეტი | სულ     |
|--------------------------------------------------------|-------------------------|-------------------------------------------|-------------------|--------------------|-----------------------|-----------------|---------|
| მოთხოვნები                                             | 14,888                  | 438                                       | -                 | 11,664             | 2,786                 | -               | 14,888  |
| ნასესხები სახსრები                                     | 92,877                  | 132                                       | -                 | 19,553             | 57,986                | 84,816          | 162,487 |
| სულ სამომავლო გადახდები,<br>ძირის და პროცენტის ჩათვლით | 107,765                 | 570                                       | -                 | 31,217             | 60,772                | 84,816          | 177,375 |

### 31 დეკემბერი 2017

| '000 ლარი | საბალანსო<br>ღირებულება | მოთხოვნამდე და<br>1 თვეზე ნაკლებ<br>დროში | 1-დან 3<br>თვემდე | 3-დან 12<br>თვემდე | 12 თვიდან 5<br>წლამდე | 5 წელზე<br>მეტი | სულ |
|-----------|-------------------------|-------------------------------------------|-------------------|--------------------|-----------------------|-----------------|-----|
|-----------|-------------------------|-------------------------------------------|-------------------|--------------------|-----------------------|-----------------|-----|

|                                                            |               |              |          |              |               |               |                |
|------------------------------------------------------------|---------------|--------------|----------|--------------|---------------|---------------|----------------|
| მოთხოვნები                                                 | 6,688         | 1,241        | -        | 3,775        | 1,672         | -             | 6,688          |
| სესხები                                                    | 57,732        | 216          | -        | -            | 39,378        | 62,236        | 101,830        |
| <b>სულ სამომავლო გადახდები, ძირის და პროცენტის ჩათვლით</b> | <b>64,420</b> | <b>1,457</b> | <b>-</b> | <b>3,775</b> | <b>41,050</b> | <b>62,236</b> | <b>108,518</b> |

**(iv) საბაზრო რისკი**

ჯგუფი თავის თავზე იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციიდან (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტის მატარებელი აქტივების და ვალდებულებების და (გ) საკუთარი კაპიტალის პროდუქტებში, სადაც ეს ყველაფერი ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის ღირებულებას, ყოველდღიური კონტროლის რეჟიმში. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება ხელს არ უშლის ამ საზღვრებს მიღმა ზარალის თავიდან აცილებას, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილი საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ემყარება ერთი გამომწვევის ცვლილებას, ყველა სხვა ფაქტორის მუდმივად შენარჩუნების შემთხვევაში. პრაქტიკაში, ეს ნაკლებად სავარაუდოა, და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შეიძლება დაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებთან და სავალუტო კურსების ცვლილებებთან.

**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკს წარმოადგენს რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყეობს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შესაბამისად. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის მერყეობის ეფექტები.

|             | 31 დეკემბერი 2018               |                                          |                               | 31 დეკემბერი 2017               |                                          |                               |
|-------------|---------------------------------|------------------------------------------|-------------------------------|---------------------------------|------------------------------------------|-------------------------------|
|             | ფულადი<br>ფინანსური<br>აქტივები | ფულადი<br>ფინანსური<br>ვალდებულე<br>ბები | სუფთა<br>საბალანსო<br>პოზიცია | ფულადი<br>ფინანსური<br>აქტივები | ფულადი<br>ფინანსური<br>ვალდებულე<br>ბები | სუფთა<br>საბალანსო<br>პოზიცია |
| <b>‘000</b> |                                 |                                          |                               |                                 |                                          |                               |
| ლარი        | 726                             | 44                                       | 682                           | 261                             | 116                                      | 145                           |
| აშშ დოლარი  | 10,237                          | 107,635                                  | (97,398)                      | 26,390                          | 64,304                                   | (37,914)                      |
| ევრო        | 2                               | 72                                       | (70)                          | 6                               | -                                        | 6                             |
| <b>სულ</b>  | <b>10,965</b>                   | <b>107,750</b>                           | <b>(96,785)</b>               | <b>26,657</b>                   | <b>64,420</b>                            | <b>(37,763)</b>               |

ზემოაღნიშნული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები კაპიტალში და არაფულადი აქტივები არ არის გათვალისწინებული არსებით სავალუტო რისკის გამომწვევად.

**ანალიზი მგრძნობელობაზე**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია მოგება/ზარალისა და საკუთარი კაპიტალის მრგნობელობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების შესაძლო გონივრულ ცვლილებებთან მიმართებით, ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტასთან შედარებით, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად შენარჩუნებით:

| '000 ლარი                   | 2018                                                 | 2017                                                 |
|-----------------------------|------------------------------------------------------|------------------------------------------------------|
|                             | გავლენა<br>მოგება/ზარალზე<br>ან საკუთარ<br>კაპიტალზე | გავლენა<br>მოგება/ზარალზე ან<br>საკუთარ<br>კაპიტალზე |
| აშშ დოლარის გამყარება 10%   | (9,658)                                              | (3,791)                                              |
| აშშ დოლარის გაუფასურება 10% | 9,658                                                | 3,791                                                |
| ევროს გამყარება 10%         | 7                                                    | 1                                                    |
| ევროს გაუფასურება 10%       | (7)                                                  | (1)                                                  |

რისკი გამოთვლილია მხოლოდ იმ ფულად ნაშთებზე, რომელიც გამოსახული იყო სხვა ვალუტაში და არა შესაბამისი ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში. სავალუტო რისკის გავლენა ჯგუფზე, საანგარიშო პერიოდის ბოლოს არ წარმოადგენს წლის განმავლობაში ტიპიურ სავალუტო გავლენას.

#### საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების უპირატესი დონეების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია საპროცენტო განაკვეთის რისკების გავლენა ჯგუფზე.

ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ერთობლივი თანხა, საბალანსო ღირებულებებით, რომლებიც დაყოფილია ხელშეკრულების ვადასა და საპროცენტო განაკვეთის განმეორებით განფასებით.

| '000 ლარი                                                                                    | მოთხოვნით | 2 თვეზე<br>ნაკლები | 2-12 თვე | 1-2 წელი | 2-5 წელი | 5 წელზე<br>მეტი |
|----------------------------------------------------------------------------------------------|-----------|--------------------|----------|----------|----------|-----------------|
| <b>31-დეკ-18</b>                                                                             |           |                    |          |          |          |                 |
| სულ ფინანსური აქტივები                                                                       | 3,440     | 702                | 3,795    | 3,123    | -        | -               |
| სულ ფინანსური ვალდებულებები                                                                  | -         | 423                | 23,395   | 7,627    | 18,204   | 58,100          |
| <b>წმინდა საპროცენტო<br/>განაკვეთებისადმი მგრძნობელობის<br/>ინტერვალი, 31 დეკემბერი 2018</b> |           |                    |          |          |          |                 |
|                                                                                              | 3,440     | 279                | (19,600) | (4,504)  | (18,204) | (58,100)        |

31-დეკ-17

|                                                                                              |               |                |              |                |                |                 |
|----------------------------------------------------------------------------------------------|---------------|----------------|--------------|----------------|----------------|-----------------|
| სულ ფინანსური აქტივები                                                                       | 20,047        | 253            | 3,533        | 2,917          | -              | -               |
| სულ ფინანსური ვალდებულებები                                                                  | -             | 1,472          | 3,775        | 4,108          | 9,772          | 45,308          |
| <b>წმინდა საპროცენტო<br/>განაკვეთებისადმი მგრძნობელობის<br/>ინტერვალი, 31 დეკემბერი 2017</b> | <b>20,047</b> | <b>(1,219)</b> | <b>(242)</b> | <b>(1,191)</b> | <b>(9,772)</b> | <b>(45,308)</b> |

ჯგუფს არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთების რისკების მართვისთვის დადგენილი ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები, რადგან ხელმძღვანელობა ამ რისკს უმნიშვნელოდ მიიჩნევს ჯგუფის საქმიანობისათვის.

ჯგუფის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზებულია, შესაბამისად საპროცენტო განაკვეთების ცვლილება გავლენას არ ახდენს ჯგუფის კაპიტალზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთები შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოცემულია მე-14 შენიშვნაში.

#### 17. ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნდა სახელშეკრულებო ვალდებულებები კონტრაქტორებისგან შეესყიდა 61,827 ლარის ღირებულების მომსახურება, მომდევნო 2 წლის განმავლობაში:

| "000 ლარი                                   | საკონტრაქტო<br>თანხა |        | კაპიტალური<br>ვალდებულებები,<br>2018 წლის 31<br>დეკემბრის<br>შემდეგ |        | სახელშეკრულებლო<br>ვალდებულებები,<br>რომელიც<br>განხორციელდება<br>დარჩენილ<br>სამშენებლო პერიოდში |        |
|---------------------------------------------|----------------------|--------|---------------------------------------------------------------------|--------|---------------------------------------------------------------------------------------------------|--------|
|                                             |                      |        |                                                                     |        |                                                                                                   |        |
|                                             | აშშ<br>დოლ           | ლარი   | აშშ<br>დოლ                                                          | ლარი   | აშშ<br>დოლ                                                                                        | ლარი   |
| სახელმწიფო ქონების<br>ეროვნული სააგენტო     | 946                  | 2,533  | 21                                                                  | 52     | 927                                                                                               | 2,481  |
| TUNNEL CONSULT                              | 186                  | 499    | 23                                                                  | 61     | 164                                                                                               | 438    |
| შპს ჯეოინჟინერინგი                          | 66                   | 177    | -                                                                   | -      | 66                                                                                                | 177    |
| შპს ფერი                                    | 27,675               | 74,075 | 22,118                                                              | 54,812 | 5,557                                                                                             | 14,874 |
| სს საქენერგორემონტი და<br>PJSC Kyivmetrobud | 33,200               | 88,863 | 20,519                                                              | 50,863 | 12,681                                                                                            | 33,943 |
| Voith Hydro GmbH & Co.KG                    | 13,989               | 37,443 | 12,734                                                              | 31,903 | 1,255                                                                                             | 3,359  |

|                                                                             |               |                |               |                |               |               |
|-----------------------------------------------------------------------------|---------------|----------------|---------------|----------------|---------------|---------------|
| კონსორციუმი შპს PetroSGEM<br>Co. და სს IGHolding Rus Joint<br>Stock Company | 5,315         | 14,226         | 1,709         | 4,535          | 3,606         | 9,652         |
| <b>სულ</b>                                                                  | <b>80,179</b> | <b>214,607</b> | <b>57,080</b> | <b>142,113</b> | <b>23,099</b> | <b>61,827</b> |

ჯგუფმა საქართველოს მთავრობის წინაშე აიღო ვალდებულება ჰესის მშენებლობისათვის გახარჯოს 65,000 აშშ დოლარი, რომელიც ჯგუფის მიერ უკვე შესრულებულია (იხილეთ შენიშვნა 1 (ბ)).

**შესრულების გარანტია.** ურთიერთთანამშრომლობის შეცვლილი და შესწორებული მემორანდუმის თანახმად („მემორანდუმი“), რომელიც 2015 წლის 16 ივლისს (რომელიც ისევ შესწორდა 2019 წლის 15 თებერვალს) დაიდო შვილობილ კომპანიას, საქართველოს მთავრობას და სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის, შვილობილმა კომპანიამ მთავრობის წინაშე აიღო ვალდებულება საქართველოში, ახალციხეში, მდინარე მტკვარზე ააგოს ჰიდროელექტროსადგური (ჰესი), მინიმუმ 43 მგვტ და მაქსიმუმ 58 მგვტ სიმძლავრით, 2020 წლის ბოლოსთვის. შესრულების გარანტია 1,000 აშშ დოლარის ოდენობით გაცემულია საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ, მემორანდუმის ფარგლებში ჯგუფის მიერ ჰესის აშენების ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.

## სხვა გარემოებები

### (a) დაზღვევა

საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების სტადიაშია და სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ჯერჯერობით მიღებული არ არის. ჯგუფს არ აქვს დაზღვეული ძირითადი საშუალებები, ან მესამე მხარის პასუხისმგებლობა ჯგუფის ქონებასთან ან ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების შედეგად გამოწვეულ ქონების ან გარემოს ზიანთან დაკავშირებით. ამის ნაცვლად, ის აქტივები, რომლებიც დაზღვეული არ არის უშუალოდ ჯგუფის მიერ, დაზღვეულია კონტრაქტორების მიერ ჯგუფის სასარგებლოდ. ამჟამად, ჯგუფსა და მზღვეველს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც წარმოიშვა გვირაბში არახელსაყრელი გეოლოგიური მდგომარეობის გამო.

### (b) დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სამართალწარმოება ან პრეტენზია, რომელსაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეს ჯგუფის ოპერაციების ან კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობის შედეგებზე და რომლებიც არ არის დაფიქსირებული ან გამოქვეყნებული ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები**

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რაც ხშირად არ არის ცალსახა, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მხრიდან განსხვავებულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები ექვემდებარება გადახედვასა და გამოკვლევას არაერთი სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება დააწესონ მკაცრი ჯარიმები, პირგასამტეხლოები და პროცენტი. საგადასახადო ორგანო საგადასახადო წელს განსახილველად ტოვებს შემდგომი სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, საგადასახადო წელი შეიძლება უფრო დიდხანს დარჩეს ღიად.

ამ გარემოებებმა შეიძლება ისეთი საგადასახადო რისკები შექმნას საქართველოში, რაც აქ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ჯგუფმა სათანადოდ უპასუხა საგადასახადო დავალიანებებს, საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციებზე დაყრდნობით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს და აღნიშნულის გავლენა ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, თუკი ორგანომ წარმატებით გაატარა საკუთარი ინტერპრეტაციები.

**(d) გარემოსთან დაკავშირებული საკითხები**

საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების ამოქმედება განვითარების სტადიაშია და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გარემოს დაცვის პოტენციური განუწყვეტელი განხილვის პროცესშია. ჯგუფი პერიოდულად ამოწმებს თავის ვალდებულებებს გარემოსდაცვითი რეგულაციებთან მიმართებით. როგორც კი ვალდებულებები განისაზღვრება, ხდება მათი დაუყოვნებლივი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების, სამოქალაქო სამართალწარმოების ან კანონმდებლობაში ცვლილებების შედეგად, არ შეიძლება შეფასდეს, მაგრამ შეიძლება იყოს არსებითი მნიშვნელობის მატარებელი. ამჟამინდელი საკანონმდებლო აღსრულების შესაბამისად, ხელმძღვანელობა თვლის, რომ ჯგუფი იცავს საქართველოს ყველა გარემოსდაცვით კანონსა და რეგულაციას.

**18. დაკავშირებული მხარეები****(a) მშობელი კომპანია**

მხარეები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, თუ მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან თუ ერთ მხარეს შესაძლებლობა აქვს გააკონტროლოს მეორე მხარე, ან შეუძლია მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა მასზე ან ერთობლივად გააკონტროლოს

მეორე მხარე ფინანსური და ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მშობელი კომპანია არის ფონდი.

2018 და 2017 წლების განმავლობაში ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არ განხორციელებულა და 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსები არ ყოფილა.

**(b) დირექტორების ანაზღაურება**

ჯგუფის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი მოიცავს დირექტორებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჯგუფის ოპერაციების სხვადასხვა მიმართულებას. მათ მიიღეს შემდეგი სახის ანაზღაურება წლის განმავლობაში:

| '000 ლარი             | 2018 | 2017 |
|-----------------------|------|------|
| ხელფასები და პრემიები | 197  | 319  |

**19. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები**

**სესხის დაფარვა.** ჯგუფმა მიიღო დამატებით 800 აშშ დოლარის ოდენობის სესხი სს თიბისი ბანკისგან, ახალი საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე.

**სესხის ხელშეკრულების ცვლილება.** სექტემბრის თვეში ჯგუფმა და სს თიბისი ბანკმა შეიტანეს ცვლილება საკრედიტო ხელშეკრულებაში, საშელავათო პერიოდის შეცვლის მიზნით და სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიზნით.

**მესაკუთრის ინჟინერი.** 2019 წლის 1 იანვრიდან ჯგუფმა მოიწვია მესაკუთრის ახალი ინჟინრის სტატუსით ILF Consulting Engineers Austria GmbH ფილიალი საქართველოში. მომსახურების ხანგრძლივობა განისაზღვრა 19 თვით; სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 2,442 აშშ დოლარს.

**საგადასახადო აქტივების აღდგენა.** 2019 წლის თებერვალსა და სექტემბერში ჯგუფმა, საქართველოს შემოსავლების სამსახურისგან დაიბრუნა დღგ-ის თანხა 3,200 და 1,500 ლარი, შესაბამისად.